ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 09 03 2021 წ.

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 7

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების 2020 - 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის გადასახადისგან გათავისუფლების და ამავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის, რომლებმაც წინა - 2020 -2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი ვერ დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით, ან ისარგებლეს შიდა მობილობით, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის დაკისრების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 15 დეკემბრის №10, 2016 წლის 15 ივლისის N14 და 5 დეკემბრის N22 ოქმების, უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 20 მარტის N20 ბრძანების "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხულ სტუდენტთათვის სწავლის შეღავათიანი პირობების განსაზღვრის შესახებ"; ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის ლევან ქისტაურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განთავისუფლდნენ საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე თვითდაფინანსების ფარგლებში დაკისრებული სწავლის საფასურის გადახდისგან 2020- 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ამ ბრძანების ***N1 დანართში*** მითითებული ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლისსაუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე ეკონომიკის საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებმაც წინა - 2020 – 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად).

2. დაეკისროთ სწავლის სემესტრული საფასურის - ***1125 ლარის*** გადახდა 2020 - 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ამ ბრძანების ***N2 დანართში*** მითითებულ ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს, რომლებმაც წინა - 2020 – 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი ვერ დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად), ან ისარგებლეს შიდა მობილობით.

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

5. ბრძანება გასაცნობად და შემდგომი რეაგირებისთვის დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; უნივერსიტეტის ბუღალტერიას, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანატს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი,
ბოდბელი მთავარეპისკოპოსი
იაკობი (იაკობიშვილი) + ბოდბელი იაკობი

დანართი 1

N	გვარი	სახელი	სემესტრი
1	ბალანჩივაძე	თინათინ	6
2	ზაქარაშვილი	ბექა	8
3	კაპანაძე	სოფიკო	8
4	ჩივაძე	მარიამი	8
5	გოშაძე	მარიამ	8

დანართი 2

N	გვარი	სახელი	სემესტრი
1	აბუაშვილი	თეონა	6
2	ჭიღლაძე	თამუნა	6
3	გოგიტაძე	თამთა	8
4	შარიქაძე	სოფიკო	8
5	სადაღაშვილი	თეკლა	8 (ფინანსდება სოც. როგრ.ფარგლებში)